ალტერნატიული წინადადება

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/247/9)

საქართველოს პარლამენტის წევრები: სერგო რატიანი, სერგი კაპანაძე, ლელა ქებურია *წინადადების აეტორი*	29.03.2019 *შემოსვლის თარიღი*	2 *გვერდების რაოდენობა*	2-5623/19 *რეგისტრაციის ნომერი*

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პროექტით გათვალისწინებულ მე-2 მუხლს დაემატოს „ჰ" ქვეპუნქტი:

"სპეციალიზებული კომისია – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული კომისია, შეიმუშავებს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების/სერიების შესაფასებელ აუცილებელ კრიტერიუმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს. დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით კომისია უზრუნველყოფს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების/სერიების შესაბამისობის დადგენას".

2. პროექტით გთვალისწინებული 26-ე მუხლის პირველ პუნქტის„ფ²" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ²) "შესაბამისი დარგის ექსპერტების, სპეციალისტებისა და მეცნიერებისგან ქმნის სპეციალიზებულ კომისიას, რომელიც სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გრიფირებისთვის წარადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოს/სერიას, რომელიც აგრეთვე შეიმუშავებს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების/სერიების გრიფირებისათვის წარსადგენად აუცილებელ კრიტერიუმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს"

მუხლი 2.

1.ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველაყოს:

ა) ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სპეციალიზებული კომისიის შექმა და კრიტერიუმების დამტკიცება;

ბ) სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. 2019-2020 სასწავლო წლისთვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ეროვნული ან საერთაშორისო კატეგორიის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახელმძღვანელოს/სერიის უკანასკნელი რედაქციის მოძიება და პირველი კლასის მოსწავლეებისთვის მიწოდება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.